ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1137019

ნომერი: AR1195640

თარიღი : 07.02.2014

გაცემის თარიღი : 24.02.2014

გაცნობის თარიღი : 24.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს მერკური-ვაკე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400107451
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ აბესაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008000448

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2807.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 11800.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 4650535.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4650535.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 32.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 32.0

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 7 თებერვალს AR1195640 განაცხადით მომართა შპს „მერკური ვაკეს“ დირექტორმა ზურაბ აბესაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2011 წლის 15 ივნისის #01/1398 ბრძანებისა და 2012 წლის 28 სექტემბრის #350873 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება და დემონტაჟის ნებართვის გაცემა. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2011 წლის 15 ივნისის #01/1398 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #80–ში, სს „პარკ პლეისის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის (ყოფილი სასტუმრო ვაკე) სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტი. ამავე სამსახურის 2012 წლის 28 სექტემბრის #350873 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ჭავჭავაძის გამზ. #80-ში, სს „პარკ-პლეისი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #N 01.14.10.001.066 და 01.14.10.001.037), არსებული შენობის (ყოფ. სასტუმრო ვაკე) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.10.001.072) წარმოქმნილია #01.14.10.001.037 მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად(რეგისტრაციის ნომერი: 882013647678, თარიღი:08/01/2014) . საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად (რეგისტრაციის ნომერი: 882014039168, თარიღი:27/01/2014, ს/კ: 01.14.10.001.072) სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მერკური ვაკე“ . სს პარკ–პლეისის დირექტორის ჯუმბერ ხატიაშვილის მიერ 2014 წლის 20 თებერვალს გაცემული #05/14 ცნობის თანახმად, სს პარკ–პლეისი აცხადებს თანხმობას 2011 წლის 15 ივნისის #01/1398 ბრძანებისა და 2012 წლის 28 სექტემბრის #350873 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2011 წლის 15 ივნისის #01/1398 ბრძანება და 2012 წლის 28 სექტემბრის #350873 ბრძანება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი #80–ში (ნაკვ.#1/37), შ.პ.ს. მერკური ვაკე–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი #01.14.10.001.072) არსებული #1 შენობა–ნაგებობის დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს2014 წლის 25 თებერვლიდან 2014 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.
4. მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
5. დამკვეთი ვალდებულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და შემდეგი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:
5.1. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N57-ე დადგენილების35-ე მუხლის შესაბამისად;
5.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების61-ე მუხლის შესაბამისად.
5.3 სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის24.03.2009 წლისN57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სამსახურის 2011 წლის 15 ივნისის #01/1398 და 2012 წლის 28 სექტემბრის

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.